

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ანაბეჭდი“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5-14

შპს "ანაბეჭდი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

საბალანსო უწყისი	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	1,710,751	1,137,936
არამატერიალური აქტივები	4		
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,710,751	1,137,936
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	81,326	476,363
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	251,095	105,148
მარაგები	8	740,423	809,003
გაცემული სესხები		491,239	
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,564,083	1,390,514
სულ აქტივები		3,274,834	2,528,450
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		596,815	963,083
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		596,815	963,083
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	2,308,286	1,326,619
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,308,286	1,326,619
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	369,733	238,747
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		369,733	238,747
სულ ვალდებულებები		2,678,019	1,565,366
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,274,834	2,528,450

ფინანსური უწყისები მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეთანხმებულია მენეჯმენტთან :

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

შპს "ანაბეჭდი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

მოგება ზარალის უწყისი	შენიშვნა	2019
ამონაგები	6	2,127,527
თვითღირებულება	7	(1,260,478)
საერთო მოგება		867,050
სხვა შემოსავლები		
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,017,249)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	9	(1,137)
სხვა ხარჯები		
საოპერაციო მოგება		(151,336)
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	10	(130,208)
წმინდა სავალუტო ზარალი/ მოგება		(84,724)
მოგება დაბეგრამდე		(366,269)
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		(366,269)
სხვა სრული შემოსავალი		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		(366,269)

შპს "ანაბეჭდი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	963,083.23	963,083
წმინდა მოგება	-	-	(366,269)	(366,269)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(366,269)	(366,269)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	596,815	596,815

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ლარი)	2,019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	(366,269)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	
- ცვტა	135,314
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(263,343)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	130,208
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	53,619
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(145,947)
- მარაგები	68,580
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	130,986
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(310,469)
- გადახდილი პროცენტები	130,208
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(180,261)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(708,130)
გაცემული სესხები	(488,312)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,196,442)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
- სასესხო ვალდებულების ზრდა	981,667
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	981,667
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა სხვაობა	(395,037)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	476,363
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	81,326

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ანაბეჭდი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 412692965, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი, ვ. კუპრამის XV შეს. 83, ბ. 2. ფაქტიური მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის 13.

კომპანია დღე-ის გადამხდელია 2013 წლიდან შპს „ანაბეჭდი“ წარმოადგენს სამკერვალო ფაბრიკას, იგი აწარმოებს უნიფორმებს მაღალი ხარისხის ტექნოლოგიური დანადგარების მეშვეობით.

კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი არის ვახტანგ ნიშნიანიძე (60002014753); ირაკლი ნიშნიანიძე (60001038181)

კომპანიის დირექტორია ვახტანგ ნიშნიანიძე
2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 44.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2019 წლის 1 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა:

ძირითადი საღრიცხო პოლიტიკა, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით; ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი :	მეთოდი:
ნაგებობები :	წრფივი
მანქანა-დანადგარები :	წრფივი
ოფისის აღჭურვილობა :	წრფივი

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს

აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარგადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამონაგები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საღარიცხო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შეეცადოს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის

ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და

აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა 1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული და ფულადი ექვივალენტები	81,326	476,363
სულ ჯამი	81,326	476,363

შენიშვნა 2 -სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

	31-Dec-19	31-Dec-18
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	251,095	105,148
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	491,239	-
გაცემული სესხები :	742,334	105,148

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა :	ჯამი
ლარში				
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	958,099	300,167	61,945	1,320,211
შესყიდვა		665,754	42,377	708,130
გასვლა				
გაუფასურება				
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია				
გადაფასების რეზერვი				
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	958,099	965,920	104,322	2,028,342
დაგროვილი ცვეთა				
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	36,007	11,713	35,755	183,476
ცვეთის ხარჯი	17,565	98,125	19,624	135,314
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა				-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	53,573	209,838	55,379	318,790
საბალანსო ღირებულება				
2018 წლის ბოლოს	922,092	188,454	26,190	1,136,736
2019 წლის ბოლოს	904,527	756,082	48,943	1,709,551

შენიშვნა-4

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	ჯამი
2018 წლის ბოლოს	1,200		1,200
შემოსვლა			-
გასვლა			-
2019 წლის ბოლოს	1,200	-	1,200

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	357,588	238,747
სხვა ვალდებულებები	12,146	
სულ ჯამი	369,733	238,747

შენიშვნა 6 - ამონაგები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქციის რეალიზაცია	2,118,203
მომსახურების რეალიზაცია	9,335
სულ ჯამი	2,127,527

შენიშვნა 7 - თვითღირებულება

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
პროდუქციის თვითღირებულება	(1,260,478)
სულ ჯამი	(1,260,478)

რეალიზებული მზა პროდუქციის
თვითღირებულების კომპონენტები

პირდაპირი მასალები

საწარმოო ზედნადები ხარჯები :

31-Dec-19
1,095,859
164,618
1,260,478

შენიშვნა 8 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი

შრომის ანაზღაურება

იჯარის ხარჯები

ბანკის მომსახურება

კომუნალური ხარჯები

ცვეთა და ამორტიზაცია

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

სულ ჯამი

2019 წლის 31 დეკემბერი
711,258
76,653
5,499
20,317
135,314
68,207
1,017,249

შენიშვნა 9 - მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

ლარი

რეალიზაციის დანახარჯები

სულ ჯამი

2019 წლის 31 დეკემბერი
(1,137)
(1,137)

შენიშვნა 10 - ფინანსური ხარჯები

ლარი

ბანკის სესხის პროცენტი

სულ ჯამი

2019 წლის 31 დეკემბერი
(130,208)
(130,28)

შენიშვნა 10 - ფინანსური ვალდებულებები

ლარი	მოკლევადიანი	
	31-Dec-19	31-Dec-18
ბანკის სესხები	49,999	89,240
სულ სესხები	49,999	89,240

ლარი	გრძელვადიანი	
	31-Dec-19	31-Dec-18
ბანკის სესხები	2,258,287	1,237,379
სულ სესხები	2,258,287	1,237,379

მიმდინარე სესხებს საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7,5%-ს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		78,294	2,995	37.13	81,326
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		251,095			251,095
გაცემული სესხები					
სულ ფინანსური აქტივები	-	<u>329,389</u>	<u>2,995</u>	<u>37</u>	<u>332,421</u>

	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები		722,080	254,883	1,331,324	2,308,286
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		369,733			369,733
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	<u>1,091,813</u>	<u>254,883</u>	<u>1,331,324</u>	<u>2,678,019</u>

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს;

დირექტორი:

ვ. ნიშნიანიძე